**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 267 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 267

**წლიური ფასი ნაწილ-ნაწილად შემოტანის დროს**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. ...
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ. ...
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

ტელეფონი № 63.    აბონემენტის გარეშე წარმოდგენა № 6.

## სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს, 1904 წ.

◆ ბენეფისი ვ. აბაშიძისა ◆

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება ორი ახალი პიესა

| I | II |
|---|---|
| **მ ე უ ღ ლ ე ნ ი** | **ბ ე ნ ე ფ ი ს ი ს  წ ი ნ** |
| კომ. 5 მოქმ., თხზ. გ. სუდერმანის, სომხურიდან ნათარგმნი ი. ბაქრაძის მიერ. | სცენები 1 მოქმ., თხზ. ზ. უმიკაშვილისა. |

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ლეჟავა, მესხი, ნ. ჩხეიძე და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩარკვიანი ‎და სხვ.

ადგილების ფასი საოპეროა. ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში ,,ლოკახიონში"

ამხანაგობის დირექცია.    მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

სეზონის ბილეთები და კონტრამარკები გაუქმებულია.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

კვირას, 21 ნოემბერს,

იქმნება ორი წარმოდგენა, დილით იაფფასიანი წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქმნება

**ქიზნ ზა ცარია**

საღამოთი, საიმპერატ. თეატრის არტისტის ქ-ნ ეიხენვალდის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**ევგენი ონეგინი**

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი მიხაილოვისა, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისადა სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, პოლუიანოვი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცმეიჩი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ორშაბათს, 22 ნოემბერს,

მ. ს. პროკოპოვიჩისა და ვ. ი. ლაზარევის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

**პიკოვაია დამა**

ოპერა 3 მოქმ. 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

სამშაბათს, 9 ნოემბერს,

წარმოდგენილი იქმნება

**ტ რ უ ბ ა დ უ რ ი**

მუსიკა ვერდისა.

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს იქმნება ქართული წარმოდგენა, ბენეფისი ვ. აბაშიძისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«მანდარინის შვილი»**, ც. კიუისა და **«მანონი»**, მუსიკა მასსენესი.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტიხიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ფჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი ქ. ზძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

იაპონია და დასავლეთი ევროპა. ჟურნალ «ნაც. რევ»-ის ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია წერილი იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფისა გრაფ ოკუმასი, რომელიც ეხლა იაპონიაში პროგრესისტთა დასის მოთავეთ არის. გრაფი ოკუმა ცდილობს ევროპიელებს გააცნოს თავის სამშობლოს ნამდვილი დანიშნულება, რომელსაც ევროპიელებს ერთი ნაწილი ეხლაც მრუდე თვალით უყურებს. ავტორი ჯერ მოკლედ ასწერს იაპონიის მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედის ისტორიას და შემდეგ ამბობს: «როცა იაპონიამ ჩინეთი დაამარცხა, ევროპაში მაშინვე ყვირილი მორთეს „ყვითელთა საფრთხეზე", რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში გაორკეცებულის ძალით იმეორებენ. მე—ამბობს გრაფი ოკუმა,—რამდენჯერმე ვილაპარაკე ამის შესახებ, უარ-ვყავ იგი და ვამბობდი, რომ ჩვენ, იაპონელები, ევროპიულ განათლებისთვის საშიში არა ვართ, რადგან ევროპიული განათლება იგივე ჩვენი განათლებაა მეთქი. ამ განათლების დაცვა და გავრცელება ჩვენთვისვე სასარგებლოა და ჩვენის პოლიტიკის საძირკველს შეადგენს. პირ იქით, მე ვამბობ, რომ უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთში «თეთრ კანიანთა საფრთხე» მეფობს! აზიას თანდათან იპყრობენ დასავლეთის სახელმწიფოები და უფრო-კი მოსკოველთა იმპერია. რუსეთი ყოველთვის ცდილობდა, რომ კორეია და ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი ხელში ჩაეგდო. ეს კი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დამყარებას სამუდამოთ ხელს შეუშლიდა. კორეის გულისათვის 1894 წ. ჩინეთთან ომი მოგვიხდა. ზღვაზედაც და ხმელეთზედაც გამარჯვებულნი ჩვენ დავრჩით და ზავის პირობას ხელი სიმონოსეკში მოვაწერეთ. მაგრამ საქმის გათავებამდის «ყვითელთა საფრთხეზე« ასტეხეს ყვირილი და ჩვენის გამარჯვების ნაყოფის დიდი ნაწილი ხელიდგან გამოგვტაცეს. ამ გვარად კორეის საკითხის გადაწყვეტა გადაიდო; ამ დროს კი გერმანიამ თითქმის უსაბუთოდ კიაო-ჩაო დაიჭირა, რუსეთმა კი ვითომდა «იჯარით» ხელში ჩაიგდო სწორედ ის პორტ-არტური, რომელზედაც ამბობდა, რომ თუ პორტ-არტური იაპონიას დარჩა, შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დამყარებას საფრთხე მოელისო. ჩინეთის ადგილების ასეთმა გაწიწკნამ ჩინეთში მომხდარ აჯანყებას ხელი შეუწყო. პეკინში მომწყვდეულ ელჩების დასახსნელად ევროპიელებს ჩვენ იმიტომ მივეშველეთ, რომ გვეგონა, ევროპიელების აზრი აღმოსავლეთში განათლების გავრცელებაა და ჩვენც ხომ ამ განათლების გავრცელება გვინდოდა. ეხლანდელი ომიც სწორედ ამგვარ პრინციპებისა და გრძნობისაგან გამომდინარეობს რუსეთის საშუალება— თავის პოლიტიკისა და ვაჭრობა - მრეწველობის გასაფრთოვებლად განათლების გავრცელებას. ეწინააღმდეგება. ლიაოდუნის ნახევარ კუნძული იაპონიას რომ დარჩენოდა, ამ ქვეყანაში ვაჭრობა და განათლება გავრცელდებოდა. იაპონია იძულებული იყო ეს ომი დაეწყო; ეხლანდელი ომი მარტო იაპონიასა და რუსეთ შორის ბრძოლას არ წარმოადგენს; ეხლანდელი ომი ბრძოლაა ანგლოსაქსთა სამართლიანობისა და რუსთა ძალდატანების პრინციპებისა, ბრძოლაა განათლებისა და რუსთა კარჩაკეტილობისა. ჩვენ ვიბრძვით. არა მარტო ჩვენის პოლიტიკურ არსებობისათვის, არამედ იმ სახელმწიფოთა ინტერესებისთვისაც, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში თავისუფალ ვაჭრობის მომხრენი არიან. ამ ომმა განათლების ბედი და მთელის ქვეყნიერობის მომავალი უნდა გადასწყვიტოს. თუ გამარჯვებულები ჩვენ დავრჩით, მთელი ჩინეთი და კორეია კარ-ღია იქნება თავისუფალ ვაჭრობისთვის; მაგრამ თუ ჩვენ ბოლოს და ბოლოს მაინც დავმარცხდით, როგორც ზოგიერთნი წინასწარმეტყველობენ, მაშინ ჩრდილოეთი ჩინეთი და მთელი კორეია უცხოელთათვის სულ მთლად დაიკეტება. იაპონია, სისხლით, მართალია, აღმოსავლეთის ერია, მაგრამ ისიც მართალია, რომ რუსები სისხლითა და ადგილ-მდებარეობით არიან ნახევრად აღმოსავლეთელნი, თავიანთის იდეალებით კი ჭეშმარიტი აზიელები.

ჩვენს საზოგადოებას, — განაგრძობს გრაფი ოკუმა—საფუძვლად უდევს თავისუფლება, კონსტიტუციონალური მმართველობა და სიყვარულისა და სამართლიანობის ქრისტეანული იდეები. ამ ომიდგან გამარჯვებულნი გამოვალთ თუ დამარცხებულნი, სულ ერთია, ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ეხლა საერთაშორისო პოლიტიკის მიმდინარეობას გვერდს ვერ აუქცევთ. ახალ ქვეყნების დაპყრობა არ გვინდა. ჩვენ მხოლოდ ვაცხადებთ, რომ დასავლეთის განათლება მარტო ევროპიელების მონოპოლია აღარ არის. ჩვენ ევროპიელების პროგრამა სავსებით მივიღეთ და უნდა ავასრულოთ კიდევაც ჩვენი მოვალეობა ამ განათლებისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში განათლების მოღალატენი ვიქნებოდით. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ «თავისუფალი ვაჭრობა» და საერთო თანასწორობა ჩვენის ეროვნულ პოლიტიკის საფუძველს შეადგენს. ჩვენ ვცდილობდით და ეხლაც ვცდილობთ, რომ ჩინეთსა და კორეიას განათლება მივფინოთ. იაპონიის ამ გვარ სურვილს, იმედი გვაქვს, სიამოვნებით მიეგებება ყველა განათლებული სახელმწიფო, უფრო კი ინგლისი და ამერიკა, რომელთაც იაპონიის განვითარებასა და განათლებასაც ხელი შეუწყეს. აღმოსავლეთის ორი უბედური ქვეყანა—ჩინეთი და კორეია ძლიერ საჭიროებენ დიდებულ ინგლის-საქსთა და «ამომავალ მზის ქვეყნის» დახმარებას (პეტ. ვედ.).

## ახალი ამბავი

—

**ქალაქის საიჯარო მიწები**, ქალაქის მიწების მოიჯარადრეთა რიცხვი თითქმის 500 მოსახლემდე იქნება. დიდი ხანია ეს ხალხი ეხვეწება ქალაქს — მოგვყიდეთ ჩვენ მიერ დასახლებული მიწები და გაგვხადეთ მათი პატრონიო. ქალაქმა უარი უთხრა. მერე მიჰმართეს მთავარ-მართებელსა და გუბერნატორს, ამ უკანასკნელმა ქაღალდი გაუგზავნა გამგეობას, რომ მოიჯარადრეთა მეორე თხოვნა განიხილოს საბჭომაო. გამგეობამ ეს ქაღალდი გადასცა კერძო კომისიას, რომელმაც არ შეიწყნარა ხსენებული თხოვნა. გუშინ კრება ჰქონდა ქალაქის საფინანსო კომისიას, რომელიც ჰშინჯავდა სამერმისო ხარჯთ-აღრიცხვას, გამგეობის მიერ შედგენილს. ხმოსანმა ჰრელაშვილმა მიაქცია კომისიის ყურადღება იმ გარემოებას, რომ იჯარით გაცემულ მიწებიდამ ქალაქს წელიწადში შემოსავალი აქვს სულ რაღაც 25000 მანეთი. ფულათ რომ ვაქციოთ ეს მიწები, ერთ მილიონ მანეთზე მეტს ამოიღებს ქალაქი. ეს ფული ბანკში ერთიორად მეტ სარგებელს მოგვცემს, ვიდრე იჯარა, აღარც წვალება, აღარც იმდენად ხელშეკრულობის წერა, იმოდენა აწიოკება მოიჯარადრეთა და სხვანი. მაგრამ ბანკს კი ბევრათ აჯობებდა, რომ ამ ფულით ქალაქმა შეიძინოს ცარიელი მიწები კერძო მემამულეთა. ეს მიწები გარს ახვევია ქალაქს ვერაზედ, საბურთალოში, კუკიასა და ავლაბარში. ადრე იქნება თუ გვიან, ქალაქმა უნდა შეიძინოს ახალი მიწები, რადგან იგი საშინლად იზრდება და, მაშასადამე, თანაბრად უნდა გააფართოვოს თავისი ტერიტორია. რაც მალე იყიდის ამ მიწებს, ის ურჩევნია. ერთი დღიური დასახლებული მიწა რომ გაჰყიდოსქალაქმა, იქავ გვერდზე 20 დღიურს მაინც იყიდის აღებულის ფულით; ხოლო მოიჯარადრენი, რაკი შეიძენენ მიწებს საკუთრებათ, ბანკის შემწეობით აიშენებენ ძვირფას სახლებს, რომელთა დასაფასებელი ხარჯი ქალაქის სასარგებლოდ გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე დღევანდელი იჯარა, შეიწყნარა საფინანსო კომისიამ ეს მოსაზრება და დაადგინა — ურჩიოს საბჭოს მიჰყიდოს მოიჯარადრეებს საქალაქო მიწები, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ამ ფულით ქალაქმა შეისყიდოს კერძო მამულებით.

*** **სამოქალაქო მოხელენი** და სხვა დაწესებულებათა უფროსნი გუშინ ორ საათზედ წარუდგნენ ახლად დანიშნულს მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენერალ მალამას, რომელმაც პირადად გაიცნო ყველანი და ზოგს კარგა ხანს ესაუბრა კიდეც.

*** **გაზეთის დახურვა.** პეტერბურგში ამ წელიწად ნახევრის წინად გაუქმებულ იქმნა ძველი გაზეთი «Сынъ Отечества», რემელიც წელს ისევ გამოვიდა 18 ამ თვეს. მეორე დღესვე, როგორც „ნოვ. ობოზ."-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურღიდგან, ახლად გამოსულ გაზეთს ერთის წერილის გამო უმაღლეს მთავრობისაგან გაფთხილება გამოეცხადა და ცალკე ნომრების გაყიდვაც აეკრძალა.

*** **მეყასბეთა და მეპურეთა საწინააღმდეგო ღონისძიებანი.** ნიხრის გამწესებელ კომისიას შუამდგომლობა აღუძრავს ბ-ნ გუბერნატორის წინაშე, რომ იმ მ[illegible] და მეპურეთა წინააღმდეგ, რ[illegible] დაწესებულ ნიხრზე არ ვაჭრობენ, მი[illegible] იქმნას სასტიკი ღონისძიებანი, რო[illegible] მაგალითად ციხეში დაპატიმრება და მისი ნისტრაციულის წესით გაგზავნა. ბა[illegible] ლა კომისიავ!..

*** **ავდარი და თოვლ-ჭყაპი ტფილისში.** გუშინდელ დღიდან ტფილისში ერთბაშად ავდარი დაიწყო. დაიჭირა ზამთრის სიცივეები და თოვლ-ჭყაპი განუწყვეტლივ მოდის.

*** **ამიერ-კავკასიის რკინის გზის შემოსავალ-გასავალი.** პირველ იანვრიდგან პირველ ნოემბრამდე ესე იგი 9 თვის განმავლობაში, ამიერ-კავკასიის რკინის გზებს შემოსვლიათ 23.495,350 მან., თითო ვერსზე შემოსულა 15,335 მან., ხოლო ამ ხნის განმავლობაში დახარჯულა 11.676,895 მან. თვითო ვერსზე 7,622 მან. ამ რიგად წმინდა შემოსავალი ცხრა თვის განმავლობაში დარჩენილა 11.818,444 მან.

*** **ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ბლინოვი**, როგორც ადგილობრივი რუსული გაზეთები იუწყებიან, ამ ცოტა ხანში გადაყვანილ იქმნება რუსეთის ერთ-ერთს ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსადვე.

*** **40 წლის თავი სასამართლოთა შემოღებისა** კავკასიაში შესრულდა გუშინ, შაბათს, 20 ნოემბერს. 1864 წ. 20 ნო-

[illegible stamp]

ემბერს იქმნა პირველად შემოღებული ე არსებული სამოსამართლო დაწესებულებანი ჩვენს მხარეს.

არტისტ გ. აბაშიძის ბენეფისი. როგორც დღევანდელ განცხადებიდგანა სჩანს, დანიშნულია ოთხშაბათს, 24 ნოემბერს. წარმოდგენილი იქმნება პირველად ორი ახალი პიესა: გ. სუნდუკიანცის 5 მოქმედებიანი კომედია «მეუღლენი» და განსვენებულ პეტრე უმიკაშვილის სცენები «ბენეფისის წინ», დაწერილი ამ ოთხის წლის წინად.

*** ფოსტის ახალი მარკები.* როგორც გაზ. „ახალ მიმოხილ“-ს ატყობინებენ დეპეშით პეტერბურგიდან, დამდეგის წლის პირველ იანვრიდან შემოღებული იქმნება ახალი საფოსტო მარკები სამის და ხუთის შაურის ღირებულობისა.

*** ქალაქის წარმომადგენელთა კრება.* ზოგიერთ რუსულ გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტრო პრინციპიალურად თანახმაა, რომ ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქმნას ქალაქების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ეხლანდელი საქალაქო დებულება, რომელიც, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა, ვერ აკმაყოფილებს მრავალ საჭირბოროტო მხარეს ქალაქის ცხოვრებისას.

*** ახალი დანიშნულება.* როგორც გაზეთ «კავკაზს» ატყობინებენ დეპეშით პეტერბურგიდან, კაპიტან მაქსიმენიშვილისათვის პოდპოლკოვნიკობა მიუციათ და ამავე დროს დაუნიშნავთ მე-7-დე კავკასიის არტილერიის ბრიგადის უფროსად.

*** სახალხო ლექციები ბათუმში.* ბათუმში შემდგარა ადგილობრივ ექიმთა წრე, რომელსაც აზრად აქვს ამ მოკლე ხანში შეუდგეს საჯარო ლექციების კითხვას ხალხისათვის სხვადასხვა სნეულებასა და შინაურ ექიმობაზე.

---

## რწმენის შერყევა.

წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ავადმყოფს ექიმმა წამალი დაუნიშნა. მოვიდა მეორე ექიმი და ავადმყოფს უთხრა: ეგ წამალი არ გარგებს, მე უკეთესი ვიცი, და დაუნიშნა სხვა წამალი. რა ჰქმნა ამ მეორე ექიმმა თავისი საქციელით? ისა, რომ დაუკარგა რწმენა პირველ ექიმისა, მაგრამ ეს რწმენა თვითონ კი მოიპოვა? სრულიადაც არა. ავადმყოფი ამისთანა შემთხვევაში ადვილად იფიქრებს: ვინაა თავმდები, რომ ეს მეორე წამალი პირველზე უარესი არ არისო; თუ ერთი ექიმი შესცდა, მეორეც შეიძლება შემცდარი იყოსო. ამ სახით, ავადმყოფი ჰკარგავს რწმენას ორივე ექიმისას, ორივე წამლისას.

რწმენას კი ავადმყოფის მორჩენაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოდ შენიშნულია, რომ თვითონ წამალი ისე ძლიერად არ მოქმედებს ავადმყოფის განკურნებაზე, როგორც ამ ავადმყოფის სრული რწმენა ექიმისადმი და მის მიერ დანიშნულის წამლისადმი. სადამდის მიდის ეს გავლენა, სჩანს იქიდგან, რომ უბრალო წყალი, დანიშნული სრულის რწმენით მოსილ ექიმისაგან, ხშირად მოქმედებს ავადმყოფზე, როგორც უებარი წამალი. მეორე მხრივ ამისთანა შემთხვევაც ნამდვილად მომხდარა: კაცთა მკვლელისათვის მიუსაჯნიათ სიკვდილი; ექიმი მისულა მასთან, მიუტანია სტაქანი, სავსე უბრალო წყლითა, და უთქვამს: შენ გადაგიწყვიტეს სიკვდილი, მაგრამ უტანჯველი. აი, ამ სტაქანში საწამლავია, დალიე და ერთის საათის განმავლობაში სულს განუტევებ უტანჯველად და მშვიდობიანად. დაულევია ერთი სტაქანი წყალი დამნაშავეს და ერთს საათში მომკვდარა, როგორც მოწამლული. აი რა უსაზღვრო გავლენა აქვს ადამიანის რწმენასა. სწორედ ამ რწმენაზე არის დამყარებული ესრედ წოდებული გიპნოტიზმი, რომელიც სასწაულებს სჩადის. ამისავე გამო ჰხდება ის მოვლენა, რომ უფრო ხშირად და ადვილად არჩენენ ავადმყოფებს არა ის ექიმები, რომელთაც ბევრი რეცეპტების წერა იციან, არამედ პსიხოლოგი ექიმები, რომელთაც მოუპოვებიათ სრული ნდობა ავადმყოფებისა.

ქართველი საზოგადოება, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, დასნეულებულია გულ-გრილობითა და დაუდევრობით. საზოგადო საქმე, რომელისამე განთქმულ მამულიშვილის ბედ-იღბალიც კი მასში ძლიერ სუსტს გულშემატკივრობას ჰბადავს.

ამ ბოლოს დროს დიდი უბედურება ეწვია ჩვენს სამშობლოსა: მას ავად გაუხდა სიდამბლით მხცოვანი მგოსანი და მამულიშვილი თავ. აკაკი. მის მორჩენისათვის საჭირო იყო მხურვალე გულ-შემატკივარი მონაწილეობა და დახმარება მთელის ქართველის საზოგადოებისა. ამ მხურვალე მონაწილეობის გამოსაწვევად ჩვენ დავბეჭდეთ გაზეთებში პატარა წერილი: «ნაციონალური საჩუქარი». ამ წერილში ვურჩევდით ქართველობას, გულ-უხვობა გამოეჩინა, დაეარსებინა აკაკის ფონდი, რომელსაც უნდა უზრუნველ-ყოფილ ექმნა მისი ჯეროვანი წამლობა და მორჩენა, და აეცილებინა მისთვის მოუსვენარი და ნაკლებულობით სავსე ცხოვრება.

სამწუხაროდ, დიდად პატივცემული ქალბატონი ეკატერინე გაბაშვილისა ამ საქმეში მოიქცა ისე, როგორც ზემოდ მოხსენებული მეორე ექიმი. მან ჩემი ღონისძიება დაიწუნა და წამოაყენა სხვა რეცეპტი, სახელდობრ, სალიტერატურო ფონდის შევსება და გაძლიერება, საიდგანაც სალსარი ცხოვრებისა უნდა მისცემოდათ აკაკისაც და სხვა ლიტერატორებსაცა. ამითი მან ჩემის ღონისძიების ღირსება შეასუსტა და თავისს ღონისძიებასაც ვერ მოუპოვა ჯეროვანი რწმენა. საზოგადოებაში დაარსდა ორჰოფობა, გაჩაღდა კერძო კამათი, ცხარე ლაპარაკი, ენერგიის ტყუილად დახარჯვა სიტყვების ტკაცა-ტკუცში. ერთნი ამბობდნენ, მართლა და რა სჯობიან იმას, რომ ყველა ლიტერატორზე ვიზრუნოთო, ყველა უზრუნველ-ყოფილი ვქმნათო. მეორენი ამბობდნენ: ვინც ყველაზე ზრუნავს, ის არავისზე არა ზრუნავსო. სალიტერატურო ფონდის შესახებ ჩვენში ფეხი გაიმაგრა გულგრილობამ და ეს გულგრილობა აკაკის ფონდზე გადავა, თუ ერთმანეთში აურიეთო. ჩვენში არა ერთი ლიტერატორი, არა ერთი მოშაირე მოიპოვება, რომელთაც წერა სულაც უნდა აეკრძალოს, ჩვენის ლიტერატურის სასარგებლოდ, და არა პენსია დაენიშნოთო. ამას ყველა ჰგრძნობს და ამიტომ ფულს არ იმეტებსო. აკაკის კალმის იშვიათი ღირსება კი ყველამ იცის და ამიტომ თავის წვლილს არავინ არ დაიშურებსო. ჯერ ჩვენის სახელოვანის პოეტის შესახებ ვისწავლოთ ნამდვილი მზრუნველობა და მერმე ეს მზრუნველობა სხვაზედაც გადავიტანოთო.

ცივი წყალი გადაასხა ქალბატონმა ეკატერინემ საქმეს უფრო იმითი, რომ აკაკის ავადმყოფობას მცირედი ჰრილობა უწოდა. მე ვიფიქრე: უთუოდ ჩვენს ღვაწლიანს მწერალს თავისი თვალით არ უნახავს ავადმყოფი და იმიტომ მოუვიდა ეს შეცდომა მეთქი. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც შევიტყე, რომ ქალბატონს ეკატერინეს თავისი შენიშვნა დაეწერა ავადმყოფის აკაკის ნახვის შემდეგ. როგორ? მარცხენა თვალის დადამბლება შიგნით და გარედ, ერთი თვალის დაბრმავება, ენის დადუმება, მარჯვენა ლოყაზე სიდამბლის გავრცელება მცირეოდენი ჰრილობაა? მეტადრე იმ ხანში, რომელშიაც იმყოფება აკაკი? კიდევ კარგი, რომ აკაკი რკინის აგებულობის პატრონია, თორემ მისი მორჩენის იმედი ძალიან ნაკლებად უნდა გვქონოდა.

არა, ბატონებო, ჯერ აკაკის ფონდი შევადგინოთ და მერმე სალიტერატურო ფონდის შევსებისათვის ვიზრუნოთ, თორემ თუ ორივე სიძნელეს შევეჭიდეთ ერთსა და იმავე დროს, ვერც ერთს ვერ დავსძლევთ და შერცხვენილნი დავრჩებით.

ქალბატონის ეკატერინეს წერილის დასაწყისში ისმის საყვედური ქართველ საზოგადოების გულგრილობაზე უბედურ ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ. საყვედური ცოტა უსამართლოა. გაჭირების დროს საწყალს სანდროს ეხმარებოდა ერთი კერძო წრე, ბ-ნ ანტონ ფურცელაძის მეთაურობით, რომელიც მას აძლევდა თვეში ოთხ თუმნამდე შემწეობასა: მისთვის კარი ღია ჰქონდა ყველა შეგნებულს ქართველს ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავში და სხვაგან ყველგან საქართველოში; თვითონ მისი ბიძაშვილი, რომელსაც მაშინ ტფილისში კარგა დიდი ადგილი ეჭირა, მზად იყო თავისთან ეცხოვრებინა. პირადად ჩვენ ვცდილობდით აღმოგვეჩინა იმისთანა ღონისძიება, რომელსაც შეეძლო არამც თუ დამოუკიდებელი სალსარი მიეცა ცხოვრებისათვის, არამედ მისს ფსიხიკაზე, მის სულზე კარგად ემოქმედნა. ეს ღონისძიება მდგომარეობდა შემდეგში: მე დავიყოლიე ჩემის სახელმძღვანელოების გამომცემელი ბ-ნი გრიქუროვი, რომ მას გამოეცა ყოველი მოთხრობა ყაზბეგისა ცალკე წიგნად და მომავალ შემოსავლიდან ნახევარი ეძლია ავტორისათვის ნაწილ-ნაწილად, თვიურად. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად უნდა გაეხარებინა ამისთანა სალსარს საწყალი სანდრო. მაგრამ, საუბედუროდ, მანვე თავისი საკუთარი ხელით ჩაფუშა და მოსპო ეს საქმე. ჩვენ დავბეჭდეთ პირველ წიგნად მისი მოთხრობა «ელისო», ორი ათასი ცალი, როგორც მახსოვს მაგრამ მთელი ეს გამოცემა გზა შეკრული ღ გაუყიდველი დარჩა, რადგანაც ავტორს კორექტურის დროს ბევრი რამ ახალი ჩაემატებინა ნებადაურთველად. ბ-ნი გრიქუროვი დაფთხა და ხელი აიღო ყაზბეგის ნაწერების გამოცემაზე.

არა, ბატონებო, სიცოცხლის დროს ყაზბეგის შესახებ ცოტაოდენს გულშემატკივრობას მაინც ვიჩენდით ყველანი. მაგრამ მის სიკვდილის შემდეგ კი მის სახელს, მის ადამიანობას ვეპყრობით დიდი უსამართლობითა, ჩვენ იგი გამოგვყავს მთელი ქვეყნის თვალში უკიდურესი ბიწიერების ბუდედ. გამოგვყავს არა მარტო სიტყვით, არამედ ბეჭდვითაც. თვით ათაშანგი მას ჩვენ შევყარეთ ორჯელ, ერთხელ მოსკოვში და მეორედ ტფილისში. მაშინ, როდესაც არა ექიმებმაც კარგად იციან, რომ ვისაც ერთხელ გადასდებია ათაშანგი, მეორედ აღარ შეხვდება, რადგანაც ესრედ წოდებული იმუნიტეტი იბუდებს მის სხეულში. და ამავე დროს ყველას ვარწმუნებთ, რომ ყაზბეგმა შექმნა მოკლე ხნის განმავლობაში უკვდავი ქმნილებანი, საქართველოს ნამდვილი ჰომიროსის სამსახური გაუწიაო. სწორედ ჩინებულს გაკვეთილს ეთიკისას ვაძლევთ ჩვენს საზოგადოებას და მეტადრე ახალ-გაზრდობას, რომელსაც ადვილად შეგვიძლიან ამ სახით ჩავუნერგოთ ის აზრი, რომ [illegible]რესი ბიწიერება სულაც არ [illegible] ადამიანს მაღალ-ნიჭიერი თხზულებანი სწეროს და საუკუნო უკვდავება მოიპოვოსო, და ვი[illegible]ყომდესო.

მეორე [illegible] ყაზბეგის მოთხრობებს, რომელშიაც სდუღს და გადმოდის ნამდვილი, გულ-წრფელი და უსაზღვრო სიყვარული ჩვენის ბედშავის გლეხებისადმი კერძოდ და სამშობლოსადმი საზოგადოდ, და ძლიერი სიძულვილი იმ ფაქტორისა, რომელიც ჰბადებს ამ ბედშაობას, და ეს უსასიამოვნესი ჩაბეჭდილება გეხსმებათ იმითი, რომ ბოროტი ენა ჩაგძახის: ეგ უბიწიერესი კაცის დაწერილი არიანო. ჰო, რატომ, შეიძლებოდა მოგვეხსენებინა თავდაუჭერელი ცხოვრება ყაზბეგისა; მაგრამ ამასთან უნდა გვეჩვენებინა, რამდენად დააზიანა მისი არწივისებური ფრთები ამისთანა თავდაუჭერლობამ, რამდენი თიხა გაურია მის ოქროიანს ნაწერებში, რამდენი ბავშური დეფექტი ჩაადენინა მას მოთხრობებში, რომელნიც მდიდარნი არიან დიდებული აფექტებით.

ჩვენ, პირადად იმდენათ საყურადღებოდ მიგვაჩნია აღზრდა, ცხოვრება და მოქმედება ყაზბეგისა, მეტადრე ჩვენის მოზარდი თაობისათვის, რომ მახლობელს მომავალში ვეძღვნით მას ვრცელს წერილსა. ამ ჟამად კი სხვა მოვლენება ითხოვს ჩვენს ყურადღებასა და დროსა: ხანგრძლივი უქეიფობის გამო ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩვენ პასუხი ვერ გავეცით ჩვენზე გამოლაშქრებულს გარეულს პოლიტიკანებს და შინაურ კარიერის მოტრფიალეთა და გვინდა ჯერ ამ ვაჟბატონებს გავუსწორდეთ ანგარიშში.

15 ნოემბერს.

იაკობ გოგებაშვილი.

---

## ქართული სიბრძნე.

(მგოსანთა ნათქვამიდგან)

სიხარული მწუხარების უნახავად არ იქნების და ჰირ უნახავად კარგი სახელი არ მოიპოვების. (სერგის თმოგველი).

რისხვა ბრძნისა სჯობს ცრუთასა ალერსსა, სიტკბოებასა; უგბილთა ლხინისა დია სჯობს, თუ კაცი ბრძნისას ებასა. (მეფე არჩილ).

მარხულობა და სასჯელი გონების გასაწმენდია. (დ. გურამიშვილი).

რა ენა წაბდეს, ერიც დაეცეს...; წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას! (გრ. ორბელიანი).

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს. (ნ. ბარათაშვილი).

---

# ფელეტონი

## ნუ სტირით!

სტირით!... იძახიან.
რა მაქვს მოსალხენი,
რას ვხედავ სანუგეშოს,
ამ ნაღველი, ცრემლთა მდენი,
დღეს ... რვდეს?... სიხარულით
... კიმგერო სული-გული,
მტერს ვეძგერო, გადუმტვრიო
ხმალი, ჩემსკენ მოზიდული!...

ვისიც მქონდა იმედი—
გადაგვარდნენ, შეიცვალნენ,
თუმც სცოცხლობენ, მაგრამ ჩემთვის
უკვე განქრნენ, «გარდიცვალნენ»!

შიშმა, ოქრომ გადიტანა
მათი გრძნობა, მათი გული...
ვიღას ახსომს ტანჯულ-მოძმე
ან სამშობლო დაჩაგრული!?

ნუ სტირით—აღარ მითხრათ!...
ჯერ სალხენი არა რა სჩანს...
სისხლ-ნარევი ცრემლთა ღვარი
მედინება კიდევ დიდხანს!...

ალექსი სანდროშვილი.

---

## ქართველთა შორის.

ჩვენი ნაციონალური დიდება.—სალიტერატურო ფონდი.—ქართველთა ინტელიგენცია.

ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი წერეთელი ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია იმ მცირე გუნდისა, რომელმაც თავის ნიჭით და შრომით მოიპოვა უკვდავების სახელი ჩვენის თვითცნობიერების ისტორიაში. ამ ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულმა პოეტმა თვისის ტურფა ნაწერებით დაგვანახვა, თუ რა დიდი სიკეკლუცე და სინაზე ჰქონია დამკვიდრებული ჩვენს ენას, რამდენი სიმდიდრე შეუძენია მისთვის წარსულს ცხოვრებას, როგორის სანუკარის მიხვრა-მოხვრითა და კილოკავებითა ყოფილა იგი შემკული. ენის გაფაქიზების მეტიც რომ არა მიუძღოდეს-რა ქართველ საზოგადოების წინაშე ბ-ნ აკაკის, ეგეც საკმარისი იქმნებოდა უკვდავებისათვის, ამიტომ რომ ენა არის უკეთესი იარაღი აზრისა და გრძნობის ალებ მიცემობაში. ვინც ამ იარაღს გასჩარხავს და გაჰლესავს, მისცემს ალმასის ელვარებასა და პრიალს, იგი იშენებს ხალხის გულში ხელთ-უქმნელს ძეგლს, რომელსაც ვერავითარი ყუმბარა ვერაფერს დააკლებს. ასე შემკობილ ენის პატრონს ხალხს ზიზღის მეტს ვერას მოჰგვრის ცნობილი მუნჯური მეთოდი, სიბნელიდამ წარმომდგარი, სიბნელის მიერ პატივცემული და სიბნელისაკენვე გამწესებული. ბურჯი ჩვენის მწერლობისა, მომცემი ასეთის ძლიერის იარაღისა, როგორიც არის ენა ხალხის სიტყიერებისათვის, ბ-ნი აკაკის შეესისხლ ხორცა ყოველს ჩვენგანს, სამუდამოდ შეიქმნა ყოველ ცნობიერ ქართველისათვის უმახლობელ ნათესავათ, მეგობრათ, მესაიდუმლეთ. აკაკი ყველა სასოებით უძღვნის საკმეველს მხურვალე გრძნობისას, თაყვანსა სცემს მის წარმტაცს მეტყველებას, მისს მარგალიტს ენას. ხოლო როდესაც გაითვალის-წინებ ბ-ნ აკაკის ხანგრძლივს სამსახურს ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზედ, სადაც იგი აღფრთოვანებულ მონაწილეობას იღებს ყოველ საქვეყნო საკითხის გამოკვლევაში, შეეხება ეს საკითხი ჩვენს ტანჯულს წარსულსა თუ დაობლებულს აწმყოს, მაშინ სიამაყით მიუთითებ მტერსა და მოკეთეს ამ საყვარელს მოღვაწეზედ და აღტაცებული წამოიძახებ—«აი ჩვენი ნაციონალური დიდებაო!». უეჭველია, ეს საამაყო სიტყვები მოადგა ენის წვერზედ მეორე ჩვენს მოღვაწეს პატივცემულ ი. ს. გოგებაშვილს, როდესაც გავარდა ხმა ძვირფასის აკაკის ავადმყოფობისა, და ამ სიტყვებმა მარტივის ასოციაციით გამოიწვია ბედნიერი აზრი ნაციონალურის საჩუქრისა, რომელიც ჩვენმა ერმა უნდა მოწიწებით მიართვას თავისს საუკეთესო შვილს. ამ აზრის გაგონებაზე დაფაცურდა ჩვენი საზოგადოება,

შეიკრბნენ აფხაზ-მეგრელნი,
სვანებთან ერთად ჭანები,
ქართლ-კახეთ-სამესხეთიდან
მეგობარ-თავისიანები.

ყველა გულის ფანცქალით ელის საამურ ხმას აკაკის განსაღებისას, ყველა მზათ არის დაადოს მაღამო მისს დაკოდილს გულს და შეძლების კვალობაზედ გამოიღოს წვლილი მისის ნაკლებობის შესავსებლად.

უკან არავინ დაიწევს, ოღონდ საქმის ინიციატორმა კიდეც დაამთავროს ეს ჩინებული დასაწყისი: თუ ვაჩერდით წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზედ, შეიძლება, შესაფერათ ვერ დაგვირგვინდეს კაი საქმე და ჩვენის საზოგადოების მტკიცე სურვილი შველისა ისეთის წვლილით გამოიხატოს, რომ ძვირფას ავადმყოფს კბილის გამოსაჩიჩქნათაც არ ეყოს. წერა-კითხვის საზოგადოებას ისეც ბევრი საქმე აქვს, რომ ახალ-ახალი დავაკისროთ. ისიც საკმარისი იქმნება, რომ ამ საზოგადოებამ ხაზინადრობა გაგვიწიოს. ხოლო რაიცა შეეხება ფულის შეკრებას, იგი უნდა იკისროს განკერძოებულმა კომიტეტმა, როგორც პირველათ გამოაცხადა ბ ნმა გოგებაშვილმა და როგორც მოიქცნენ ქუთათურები. ამისთანა ცოცხალ საქმეს ვერ გაუძღვება ოფიციალური დაწესებულება.

***

თანაგრძნობა და სიყვარული აკაკის მიმართ ისეთი განუსაზღვრელია ჩვენს საზოგადოებაში, რომ ნაციონალურ საჩუქრის ფონდიდამ კომიტეტებს ადვილად შეუძლიანთ გადავიდნენ სალიტერატურო, საარტისტო და სხვა ფონდებზედ. საქმე რიგიანი დაწყობაა. რაკი საძირკველი მკვიდრათ ჩავარდება, მერე შენობას რამდენი სართულიცა გნებავთ, იმდენი მოადგით და ნუ გეშინიანთ, რომ ვერ იდგნოს, მით უმეტეს, როდესაც ნიადაგი, ე. ი. გული ჩვენის ხალხისა, სრულებითაც არ არის ისეთი ფუყე, როგორც ჩვენს მტერ-მოყვარეებსა ჰგონიათ და როგორც ბევრი ჩვენი პესიმისტი თავის სულმოკლეობითა ჰფიქრობს. ქართველი ხალხი ნურავის მიაჩნია იქამდე განდიდრებულათ, რომ არ აფასებდეს თავის ერთგულ შვილებს, მათს საქვეყნო გარჯასა და მხნეობას.

მეტყვიან—მაგრეც რომ იყოს, ამ სიღარიბეს სადღა გაექცევიანო; ხალხს ლუკმა პური ენატრება, და თქვე ფონდებს უქადაგებთო.

ეს ტყუილი თავის გამართლებაა. რაც უნდა გაღატაკებული იყოს ჩვენი ხალხი, თითო ოროლა გროში არ გამოელევა, რომ საქვეყნო საქმეს შესწიროს. თვით მისი სიღატაკე შედეგია მოღვაწეთა სიმცირისა. რაც მომატებული ნაწილი საზოგადოებისა გადასდებს თავს ქვეყნის სამსახურისთვის, მით მეტი ძალა მიეცემა ჩვენს საერთო საქმეს, მით ამ საქმეს გამოუჩნდება მომეტებული ჭირ-ისუფალი. ხოლო ჭირისუფალთა და მოჭირნახულეთა სიმრავლე გააპატიოსნებს და გამოჰკვეთავს თვით საქმეს.

ამისთანა უბრალო და მარტივი ჭეშმარიტება არ არის უცხო ჩვენის ხალხისათვის, რომელსაც რამდენიმე ათასი წელი უტარებია თავისი ბედი საკუთარის ხელით და დღევანდლამდე მოუხწევია შემდეგ განუწყვეტელის ბრძოლისა მრავალ მტერთან და დაბრკოლებასთან. თუ ამისთანა ხალხი, ისტორიულ ქარ-ცეცხლში გამოსული და მით გამოცდილი, როგორც საქართველოს ერია, დღეს გზა-დაკარგულ ცხვრის ფარას მოგვაგონებს, ეგ იმისი ბრალია, რომ მცირე ჰყავს გულის შემატკივარი და გზის მაჩვენებელი. ხოლო ვინც კი გამოიჩინა ეს გულის შემატკივრობა და გამოძებნა ხსნის გზა, იგი არ დარჩა შეუმჩნეველი. თვით ის სიყვარული, რომლითაც დღეს გამსჭვალულია ყოველი ანბანის მცოდნე ქართველი აკაკის მიმართ, პირდაპირ ჰღაღადებს, თუ რა დიდი ფასი აქვს ამისთანა გზის მაჩვენებელს ქართველის ხალხის თვალში. რაც გინდ ღატაკი იყოს ჩვენი კაცი, იგი იქამდე შეგნებულია, რომ განსაკურნებელ წამლისათვის არ დაჰზოგავს თავის გათხელებულ ჯიბეს, ოღონდ კი სწამდეს ამ წამლის უებრობა, და ნუ თუ ჩვენში ეგულება ვისმე ისეთი მწიგნობარი, რომელსაც არა სწამდეს საქვეყ-

※※※ შუბი დიდია და მძლავრი, სისხლ-მღვრელი, სისხლის მსმელია; წყნარი, პაწია ნემსი კი შიშველ-ტიტველის მცმელია. (ილია ჭავჭავაძე).

※※※ ენა გულისა ცოცხია.
(აკაკი წერეთელი).

※※※ ვაჟ-კაცსა გული რკინისა, ხანჯალი თუნდა ხისაო! (ხალხური).

---

# ხოლერა

(დასასრული *)

## გაფრთხილება ანუ პროფილაქტიკა.

როგორც ვიცით, ხოლერა ბენგალიას (ინდოეთში) გარეშე არსად არ ჩნდება თავის თავად და, თუ სადმე ჩნდება, უთუოდ შემოტანით.

ამიტომ გემები, რომელნიც აზიიდან შემოდიან სუეზის არხში, გაისინჯებიან ხოლმე, რომელიც საეჭვო არ გამოდგება ხოლერის მხრივ, დეზინფექციის შემდეგ ნება ეძლევა ევროპაში წავიდეს; რომელი გემიც საეჭვოა, იმას აჩერებენ რამდენსამე ხანს კარანტინში.

თვითოეული სახელმწიფო ამგვარადვე ყურს უგდებს თავის საზღვრებს, როგორც ხმელეთისას, აგრეთვე ზღვისას. მგზავრებს აჩერებენ განგებ გაკეთებულ შენობებში რამდენსამე ხანს. თუ ამ ხნის განმავლობაში ვინმე ავად გახდა, ავადმყოფს იქვე აჩერებენ და უვლიან, სანამ არ მორჩება და უშიშარი არ შეიქნება ხოლერის გადადების მხრივ. ვინც ხუთი დღის განმავლობაში ავად არ გახდება, იმას თავისუფლებას აძლევენ, ხოლო ბარგს კი დეზინფექციას უკეთებენ. მგზავრს, განთავისუფლებულს კარანტინიდან, როდესაც იგი რომელსამე ქალაქში გაჩერდება, ექიმები ხუთი დღის განმავლობაში კიდევ თვალ-ყურს ადევნებენ და, თუ ავად გახდა, ღონისძიებას ხმარობენ, რომ მისგან სხვას არავის გადაედვას ხოლერა.

ხმელეთიდან უფრო ძნელია მოეჭრას გზა ხოლერას, ვიდრე ზღვიდან. როდესაც რომელსამე ქალაქში ვინმე მოდის, სახლის პატრონი მოვალეა, აცნობოს პოლიციას, რადგან ყოველ ახალ მოსულს თვალ-ყური უნდა ადევნონ ექიმებმა.

ხოლერით ავადმყოფი შეიძლება გააჩერონ იმ ოთახში, სადაც ავადმყოფობამ მოასწრო, თუ ოთახი განმარტოებულია, ან ისეა მოწყობილი, რომ შესაძლებელია იქიდგან ადვილად მოეჭრას გზები ხოლერის გავრცელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფი უნდა წაყვანილ იქმნას განსაკუთრებულ, ხოლერით-ავადმყოფთათვის დანიშნულ საავადმყოფოში.

ეტლს, რომლითაც ატარებენ ხოლერით ავადმყოფს, უნდა გაუკეთდეს ხოლმე დეზინფექცია.

თუ ხოლერით ავადმყოფი გარდაიცვალა, მის ტანს, გაურეცხელს, უნდა შემოახვიოთ ზეწარი, დასველებული სულეიმანის ხსნილით (ერთი წონა სულეიმანი უნდა გახსნათ ათას წონა წყალში), რაც შეიძლება, ჩქარა ჩადვათ გაფისულ კუბოში და დიდის სიფთხილით დამარხოთ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს სასმელ წყალს. თუ წყალში ხოლერის ბაცილლა არ გამრავლდა, ისე ხოლერა არ გავრცელდება ძლიერ. ამიტომ წყაროს წყლები ისე უნდა იქმნენ მოწყობილნი, რომ შიგ შეუძლებელი იყოს რეცხა, განავლის ჩაღვრა და სხ. თუ ქალაქი ან სოფელი მდინარის წყალსა სვამს, ამ მდინარეში არ უნდა ირეცხებოდეს სარეცხი და არ უნდა იყრებოდეს უწმინდურება. კარგია შორიდან მილებით გამოყვანა სუფთა წყლისა, თუ ამ წყლის სათავე არ ფუჭდება უწმინდურებით. ერთი სიტყვით, წყალს ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ხოლერის გავრცელების მხრივ და, მაშასადამე, ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მიეპყრას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მიწის ნიადაგის სისუფთავეს. სიბინძურე მეორე დიდ მნიშვნელოვანი მიზეზია ხოლერის ეპიდემიის გავრცელებისა.

ამ საზოგადო ზომების გარდა, ყოველმა კაცმა უნდა იხმაროს კიდევ შემდეგი კერძო ზომები:

ყველაზე უფრო საშიშარია მისი მდგომარეობა, ვინც ხოლერით ავადმყოფს თავზე ადგია და ემსახურება. იგი უნდა ეცადოს, რომ ნარწყევის ან განავლის ნაწილები პირში არ ჩაუვარდეს. არაფერი არ უნდა ჭამოს და არ უნდა სვას ავადმყოფის ოთახში, თავისი სასმელ-საჭმელი იქ არ უნდა შეიტანოს. ყოველთვის, როდესაც კი ავადმყოფს შეეხება ან ავადმყოფის საცვლებს, იმ წამსვე ხელები უნდა დაიბანოს ხსენებულ სულეიმანის ხსნილით, შემდეგ უნდა შეიზხაპუნოს თავ-პირზე სამ-პროცენტიანი კარბოლის სიმჟავე პულვერიზატორით, შემდეგ მეორე ოთახში ხელი და თავ პირი დაიბანოს არა მარტო წყლით, არამედ დაისველოს თმა, პირისახე და ხელები ორ-პროცენტიან კარბოლის სიმჟავით. ავადმყოფის ოთახში უნდა შევიდეს მხოლოდ ხალათში ჩაცმული და რეზინის გალოშებით. გამოვა თუ არა ავადმყოფის ოთახში, იმწამსვე უნდა გაიხადოს ხალათიც და გალოშებიც, და გალოშებს უნდა მოასხურონ კარბოლის სიმჟავე სამ-პროცენტიანი. ხალათი კი კარგი იქნება ორთქლის სტერილიზატორში იქმნეს გატარებული ან ნაცარ-ტუტაში მოხარშული. ამიტომ, ვინც ხოლერით ავადმყოფს თავზე ადგია, რაც მეტი ხალათი აქვს, მით უკეთესია.

ხოლერით ავადმყოფს უნდა ჰყავდეს მიჩენილი საკუთარი მომვლელი. დანარჩენები არ უნდა ნახულობდნენ ხოლერით ავადმყოფს და არ უნდა იარონ იმ სახლში, სადაც ამ სენით ვინმეა ავად. თუ მაინც და მაინც ავადმყოფის ნახვა აუცილებელია, ავადმყოფს ახლო არაფერი არ უნდა სვას და ჭამოს. არავინ არ უნდა მიიღოს ხოლერიანისაგან ტანსაცმელ-ქვეშ-საგები და არც სხვა რამე ნივთი.

დიდი სისუფთავეა საჭირო სამზარეულოში; საჭმელების სამზადებლად, ჭურჭლის სარეცხად, სარეცხის სარეცხად, სასმელად უნდა იხმარო ნადუღი წყალი. ფეხის ადგილი სუფთად უნდა შეინახო და შიგ ყოველ დღე ორჯერ, სამჯერ უნდა ჩაყარო გაუნელებელი კირი, ახლად წყალ-დასხმული. ამავე კირით უნდა მოწმინდო. ხშირად ფეხის ადგილის იატაკი, დასაჯდომი და სხვ.

კირი უნდა ამ გვარად დაამზადო: ერთს ლიტრა გაუნელებელ კირს დაასხი ერთი ლიტრა წყალი. კირი წყალს შეისვამს და დაიფხვნება. მაშინ მიუმატე კიდევ სამი ლიტრა წყალი და კარგად აურიე. ამგვარად წყალ-ნარევი კირი ჰხოცავს ბაცილლებს. თუ გინდა ამგვარად დამზადებული კირი შეინახო, უნდა ჭურჭელს თავი დაუცო, თორემ აუცილებლად ჰაერისაგან გამოიცვლება და დეზინფექციისათვის, ბაცილლების დასახოცად აღარ გამოდგება.

ამგვარად დამზადებულ კირით უნდა გაასუფთავო ფეხის ადგილი, ე. ი. ორმოშიაც უნდა ჩაასხა და იატაკიც უნდა მორეცხო. თუ გინდა კაცის განავალი გასწმინდო ბაცილლებისაგან, ესე იგი დახოცო რაც შიგ ბაცილლებია, რამდენიც განავალია, ერთი იმდენი კირწყალი ზედ უნდა დაასხა და აურიო.

კირ-წყალით უნდა გაასუფთაო ხოლმე აივანი, ჭურჭელი, ნივთები, ეზოები, ნარეცხის ორმოები და სხ. და სხ. კირწყალი მით არის კარგი, რომ დეზინფექციური, ე. ი. ბაცილლების დასახოცავი, ძალაც აქვს და იაფიც არის, ხელმისაწვდომიც არის ყველასათვის. კარგი იქმნებოდა, რომ არა მარტო ხოლერის ეპიდემიის დროს, არამედ საზოგადოდ ყოველ-დღიურ ხმარებისათვის შემოვიდეს ეს სასარგებლო დეზინფექციური საშუალება ყოველ ოჯახში.

საზოგადოდ ტანის სისუფთავე კარგია, მაგრამ ხოლერობის დროს აუცილებელია. კვირაში ერთჯერ ტანი უნდა იბანო, ხშირ-ხშირად, მეტადრე ჭამის წინ, უნდა იბანო ხელ-პირი, ირეცხო პირი ნადუღი წყლით ან ბერტოლეტის მარილის ხსნარით, რომელიც ასე უნდა მოამზადო: ერთს ჩაის სტაქან ნადუღარ წყალში უნდა გახსნა ერთი ჩაის კოვზი ბერტოლეტის მარილი. ხშირად უნდა იცვალო საცვალი, გაასუფთაო ხოლმე ტანსაცმელი და სხვ.

ძლიერ კარგია ქვეშ-საგების, ტანსაცმელის, ნივთების გამოფენა მზეზე, რომლის სხივებიც ხოცავს ბაცილლებს. ეს საშუალება არა თუ ხოლერობის დროს, ყოველთვის ძლიერ სასარგებლოა.

უნდა ეცადო მეტის-მეტად არ დაიღალო, არ მოიქანცო არც გონებრივის შრომით, არც უბრალო მუშაობით. არ უნდა ჭამო არასოდეს ერთბაშად ბევრი, რადგან, როგორც ზემოდ ვთქვით, ამ შემთხვევაში, რაც მარილის სიმჟავეა კუჭში, საჭმელს შეუერთდება, თავისუფალი მარილის სიმჟავე კი საჭიროა, რომ გადაყლაპული ბაცილლები დახოცოს. მავნებელია ბევრი წყლის, ბევრი წვენის შეხვრება, რადგან წვენი უცბად გადავა წელებში და გადიტანს თან ბაცილლებსაც, თუ კი წვენში ბაცილლები არიან. მავნებელია დილას ბევრი წყლის დალევა, ბევრი ჩაის დალევა, რადგან ამ შემთხვევაში კუჭში მარილის-სიმჟავე არ მზადდება. უნდა ჭამო ზომიერად და ხშირად. უნდა ჭამო შინ, გარეთ უჭმელი არ უნდა გახვიდე, რადგან, თუ ცოტა ჭამე რამე, კუჭში მარილის სიმჟავე მზადდება, შეიარაღებული ხარ მარილის სიმჟავით ხოლერის ბაცილების წინააღმდეგ. ერიდე ბუფეტებს, რესტორანებს, მეტადრე დუქნებს, სადაც ბევრი სადილობს და საჭმელ-სასმელიც არ არის ხოლმე დამზადებული სიფრთხილით. საჭმელს უნდა ეხუროს ზევიდან ან შუშის ჭურჭელი, ან თეფში, ან გობი, რომ ბუზები არ დააჯდენ, რადგან ხშირად ბუზებს გადააქვთ ხოლმე ბაცილები ხოლერიანის განავლიდან საჭმელ-სასმელზე. ერიდე ყველაფერს, რაც კუჭს აზიანებს: უმ და გაფუჭებულ ხილს, მსუქან ხორცს, ქონს, ძლიერ მჟავე საჭმელს, ლოთობას, გარყვნილებას, ძლიერ ცივ საჭმელ-სასმელებს და სხ.

ყოველივე, მწვანილი, ხილი და სხ. უნდა იყოს ცხელ წყალ-გადავლებული, ნადუღის წყლით გარეცხილი, გაფცქვნილი, გათლილი.

როგორც ზემოდ ვთქვით, დასალევად ნადუღი წყალი უნდა იხმარო, თავდახურულ ჭურჭელში შენახული. ამგვარი წყალი ახლად დამზადებული უნდა იყოს, ე. ი. დღეში ორჯერ-სამჯერ უნდა მოამზადო.

საჭმელი უნდა იყოს სალი, კარგად მოხარშული ან კარგად შემწვარი.

ყოველი კაცი რომ ყველა ამ დარიგებას ასრულებდეს, მაშინ ხოლერაც აღარ იქმნებოდა ისე საშიშარი, როგორც დღემდის არის.

ექიმი ვასილ წერეთელი.

*) იხ. «ივერია», № 265.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

19 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** ... დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა 18 ნოემბრის თარიღით: «ასეულები, რომელნიც გამოეკიდნენ მტერსა, სდევნიან იმას, გაიარეს სუიდუნი მდინარე თაიციხემდე და გააფუჭეს ტელეგრაფი. სროლის დროს იაპონელთ დასწვეს რუსეთის საწყობები ორს სოფელში თაიციხეს ხეობაში, ჩვენ ორი ყაზახი დაგვიჭრეს. ჩინელების ჩვენებით, 17 ნოემბერს ბრძოლის დროს იაპონელებმა ურმებით წაიღეს 50-მდე მოკლული და 150 დაჭრილი. ჩვენ ვიპოვეთ კიდევ 23 გვამი. ტყვედ წამოვიყვანეთ 7 კაცი. 18 ნოემბრის ბრძოლის ამბავი არ მოგვსვლია. ამას უქვეშევრდომლესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას».

— დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის სახაროვისა უმთავრესს შტაბში: «ჩვენები გამოეკიდნენ მტერს, რომელმაც საჩქაროდ დაანება თავი სოფლებს დაჰინდუშსა და ყიძიუსსა და დაიხია ციანჩანისაკენ. ბრძოლის შემდეგ ჩვენ მოვაგროვეთ 50 თოფი იაპონელებისა. შემდეგ ლამუტუნისაკენ დავძებნეთ მტერი. იაპონელების თხრილებს რომ მიუახლოვდით, თოფის სროლა დაგვიწყეს. ამ დროს დაიჭრა პორუჩიკი როდზევიჩი. 3 ჯარის კაცი მოკვდა და 3 დაიჭრა, როცა ალიაქოთი დაწყნარდა, ნაწილი რაზმისა პორუჩიკ კორსაკოვის უფროსობით, მტრის სამხრად წავიდა, მიეპარნენ ერთ ალაგას და ეცნენ ხიშტებითა. იაპონელნი, მედგარის წინააღმდეგობის შემდეგ, გაიქცნენ, ჩვენ მივდიეთ შახეს მარჯვენა ნაპირამდე. ერთი 1 ტყვედ წავიყვანეთ, 25 კაცამდე ამოვხოცეთ, დაგვრჩა იარაღი, საბნები და სხ. ჩვენ დაგვეჭრა ხელში პოდპორუჩიკი კალტბეკოვი და ერთი ჯარის კაცი მოგვიკლეს. ღამე 18 ნოემბერს რაზმი, შტაბს-კაპიტანის ალექსანდროვის უფროსობით, შეუმჩნევლად მიეპარა მტერს და თოფის სროლა დაუწყო. გამოცვივდნენ 60 კაცამდე იაპონელნი და თოფის სროლა დაიწყეს. ჩვენები თხრილებში ჩაუცვივდნენ და იაპონელნი გაექცნენ. აქაც იარაღი დაგვრჩა. 18 ნოემბრის ბრძოლის შესახებ ამბავი არ მოგვსვლია“.

**ვაშინგტონი**, 18 ნოემბერი. (რეიტერი). რუსეთი ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელმაც განაცხადა, — კონფერენციის მოწვევა უსათუოდ ომის გათავებამდე უნდა გადაიდოსო. სხვა სახელმწიფოები კი ეხლა მოლაპარაკებას არ დაიწყებენ, თუ როდის მოიწვიონ კონფერენცია. შეერთებული-შტატები ...

---

ნო მნიშვნელობა ჩვენის მოღვაწეებისა! ეს რწმენა აშკარაა, იგი თვით სინამდვილეა, და აბა გამოიყენეთ იგი სამშობლოს სასახელოთ, ვისაც კი შეგიძლიანთ. აქ მხოლოდ მოთავეობაა საჭირო. თუ კი მართლა საპატიო კაცებს ამოირჩევთ, ფონდების შედგენა არ გაძნელდება, მით უმეტეს რომ ამ ფონდებისათვის თვითოეულს ჩვენგანს დასჭირდება სულ მცირე წვლილი, თითქმის თვალით დაუნახავი. რომელი მოსწავლე არ გამოიმეტებს თვიურად ერთ შაურს გინდ მთელის წლის განმავლობაში, რომ ასეთის შეწირულებით თავი მოაწონოს და ადგილი დაიჭიროს იმ საპატიო სიაში, სადაც მისი მეზობელი მოაწერს ხელსა! რომელი მწიგნობარი გლეხი ჩამორჩება სხვასა და არ იკისრებს თვიურათ აბაზის გამოღებას მთელის წლის განმავლობაში ამისთანა საქვეყნო საქმისთვის, როდესაც მას თუმნობით ართმევენ ათას უსიამოვნო გადასახადს! ახლა რამდენი იქმნება ისეთი, რომ მანეთითაც ვერ შეაშინებ, ოღონდ იგი მოჰხმარდეს მის სამშობლოს საჭიროებას.

კიდევ ვიტყვით, საქმე დაწყებაა, ორგანიზაცია, და ასეთის მცირე შემოწირულებისაგან შესდგება მთელი წყარო, რომელიც ლუკმას გაუჩენს ჩვენთვისვე თავდადებულ მოღვაწეებს. არც ერთი სასწავლებელი არ ეტყვის უარს საპატიო კომიტეტს, რომ მონაწილეობა მიიღოს ამისთანა საქმის განხორციელებაში, არც ერთი ღვდელი, არც ერთი მოხელე, არც ქალი და არც კაცი. მეტადრე ჩვენს ქალს ბევრი თავისუფალი დრო აქვს და მაგაზედ უკეთესს რას მოიქმედებს თავის სიცოცხლეში, რომ გაუწიოს დახმარება ამისთანა მრავალმნიშვნელოვან კომიტეტს. მოგვეწონება ჩინებული აზრი და კიდეც ითავეთ მისი განხორციელება. ნუ მოახვევთ ამას თავზე ოფიციალურ დაწესებულებას. იყავით მხნენი და განძლიერდით. ხომ მოგეხსენებათ დავით გურამიშვილის წამახალისებელი შედარება:

> ...მან, ვით ჩქარმან წყაროშმან,
> გახვრეთოს მთა და გორია.

* *
*

ამ მხნეობას ისე არავისაგან თხოულობენ, როგორც საზოგადოდ ინტელიგენციისაგან და ნამეტურ ქართველ ინტელიგენციისაგან. მართლაც, დიდი ზნეობრივი მოვალეობა აწევს ინტელიგენციას. ქვეყანა შრომობს, ირჯება, ოფლის მორევში ცურავს, რომ «ოფლითა თვისითა მოიპოვოს» არა მარტო თავის გამოსაკვები სარჩო, არამედ ბევრის სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებელიც. ამ საჭიროებათა შორის ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ხალხის განათლებასაც. მართალია, ეს ადგილი დაქვეითებულ ქვეყნებში ჯერ-ჯერობით ძრიელ მცირეა, მაგრამ მაინც ხალხის შრომასა თხოულობს იგი. ამასთანავე, რამდენადაც ეს ადგილი მცირეა, იმდენად განათლებულთა მოვალეობა ვრცელი და მძიმეა. ხალხის შრომამ აგიხილა თვალი, გასწავლა ავი და კარგი, უმაღლესი საზრდო მისცა შენს ჭკუასა და გონებას, აგაცდინა თავიდამ პირუტყვული გაუგებრობა, გაგიმდიდრა სულის სავარჯიშო მასალა, გაგიფაქიზა გული და ზნეობა, მოგაშორა ათასი ცრუ მორწმუნეობა და კაცი ადამიანურს გზაზედ დაგაყენა. თუ არ ხალხის შრომა, არ იქნებოდა არც ტაძარი განათლებისა, არ იქნებოდნენ არც პროფესორები, არც ხელმძღვანელნი და ვერც შენ იგემებდი განათლების სიტკბოებას. ხალხის შრომამ ყოველივე ეს სიკეთე შეჰქმნა და მოგცა შენ გზა, რომ გესარგებლნა ამ სიკეთით. აქედამ აშკარაა შენი დავალიანება ხალხის წინაშე. როგორც ინტელიგენტს, შენ ზურგზედ გაკერია ხალხის ვალი. იგი თვითონ პირუტყვივით მიწას ჩაჰყურებს და შენ კი შეძლება მოგცა, რომ თავაწეული ცაში იყურებოდეო. შენის აზრით ვარსკვლავებს ეთამაშდაო, როგორც პატიოსანმა მოვალემ, ნა შენდა სარგებლით დაუბრუნო ხალხს ის სიკეთე, რომელიც მას მოუნიჭებია შენთვის. ვინც ამ ვალს არა კისრულობს და გაურბის მის გადახდას, იგი ჰღალატობს ზნეობრივს მოთხოვნილებას, იგი პირშავი გამოდის წინაშე საზოგადოებისა, წინაშე სამშობლოისი.

ამიტომაც არის, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა «დღე ყოველ, ჟამი ყოველი» ემდურება ქართველ ინტელიგენციას და საყვედურით უშხამავს ლუკმა პურს, რომელსაც იგი იძენს ცხოვრებაში. სწორე მოგახსენოთ, ეს საყვედური არ არის სიმართლეს მოკლებული, მაგრამ მეტად გადაჭარბებულია, და ხომ მოგეხსენებათ «მეტის-მეტი—თავში რეტიო», ე. ი. გადაჭარბებული არა ვარგა-რა. რასაკვირველია, ინტელიგენტი მოვალეა შეიტანოს ხალხის სულსა და გულში ნაწილი იმ სინათლისა, რომელიც მან მიიღო ხალხისავე წყალობით; მაგრამ საკითხი ის არის, მიიღო კი მან რაიმე სინათლე, რომ ახლა სხვებსაც უწილადოს? თვით ესევე ჟურნალ-გაზეთობა ცხვირში ძმარს აწურებს ქართველ ახალგაზრდობას, რომ იგი არაფერს არ აკეთებს სტუდენტობის დროს, რომ მომატებული ნაწილი ქართველ მოსწავლეთა გართულია ქაღალდის თამაშით და ქალების არშიყობით, რომ ლექციები თითქმის არ აინტერესებს, წიგნის კითხვა ჭირივით ეჯავრება და სხვანი. თუ კი ეს მართლა ასეა, მაშ რა ნათელმა უნდა შეაშუქოს ჩვენის ახალგაზრდის ტვინსა და გულში, რა განათლების პატრონი უნდა შეიქმნეს იგი? ამასთანავე თუ კი მას თვითონ არ გააჩნია განათლება, რა მოვალეობას უნდა ჰგრძნობდეს მაშ ხალხის წინაშე და ან რომელ ულუფიდამ გადუხადოს ეს ვალი. არარაიმესაგან მხოლოდ არარაიმე წარმოსდგება და მაშ რაღას ელოდებით იმათგან, ვისაც არა შეუძენია რამ ქვეყნის განათლებისაგან, როგორც თქვენვე გაიძახით.

ან ჩვენი ინტელიგენტი მართლა განათლებულია და, მაშასადამე, უნდა ჰგრძნობდეს ვალს, რომელიც ხალხისაგან აულია, ან არ არის განათლებული და, მაშასადამე, სრულებითაც ვერ იგრძნობს ამ ვალს და გადახდა ხომ ფიქრადაც არ მოუვა, ათასი საყვედურიც რომ გამოუცხადოთ. «ავილე და ვეღარ მოგეო» იქნება მისი პასუხი. ჩემის აზრით, საქმე სხვანაირად არის. ჩვენს ინტელიგენტს ნიადაგი ეცლება პირველსავე ფეხის შედგმაზე დღევანდელს სკოლაში, სადაც არასფერს მშობლიურს არა თუ ადგილი არა აქვს, არამედ სულიან-ხორციანად განდევნილია ყოველივე მშობლიური, მოკიდებული თვით ენისაგან, რომელიც შეადგენს წმინდათა წმინდას ყოველის ხალხისას; მისი წარსული ისტორია ჩალაშია გახვეული და ზემოდამ მური აქვს წასმული, რომ უცებ არსაიდამ გამოსჭვრიტოს სპეტაკმა სახემ დიდებისამ; დღევანდელ ცხოვრებას გიწუნებენ და სასაცილოთ გიხდიან, და, აბა, ამისთანა გარემოებაში რომელი ვარსკვლავი უნდა იყოს მოსწავლისათვის მაჩვენებელი გზისა! ერთად ერთი ატესტატი, მუნდირი, „კოკარდა“, ჩინი და მენდლები. სამშობლოს დარდი და ვარამი, მისი ლხინი და მწუხარება ერთიან მოშორებულია სკოლას, რომელსაც არ ეპრიანება ქართული

> და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს,
> არ მოსწონს «დელა-დელაო!»

უნივერსიტეტი და სხვა მაღალი სასწავლებელი. სადაც მიდის ჩვენი ახალგაზრდა, ხომ სრულებით უმეცრები არიან შესახებ საქართველოს სულის კვეთებისა. ამისთანა გარემოებაში ჩაყენებული მოსწავლე იშვიათად მიიღებს ნამდვილს განათლებას, და დიდის ქების ღირსნი არიან ჩვენი ყმაწვილები, რომ მაინც ახერხებენ ქვეყნის სამსახურს; ეს ხომ ყველასთვის ცხადია, რომ თუ რაიმე ნათელი ტრიალებს ქართველი საზოგადოებაში, ეგ სულ ინტელიგენციის უნარია. ჩვენ მხოლოდ უნდა უნატროთ მომეტებული ხელგამომავალობა და მხნეობის გაორკეცება, რადგან მცირე რიცხვით და ხალხს კი დიდი სამსახური უჭირს, რომ სიბნელის კლანჭებს დააღწიოს თავი.

სანო.

ბული შტატები სრულიად კმაყოფილია თავის ნოტით, რომლითაც წინადადება მისცა კონფერენციის მოწვევისა. ჰფიქრობენ, რომ შეერთებული შტატები დროებით გადასდებს კონფერენციის მოწვევას, ვიდრე როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი მიწურულზედ მიდგება, მაშინ ისევ განაახლებს წინადადებას ამ საქმის თაობაზედ.

**ვენა**, 18 ნოემბერს გარდაიცვალა რუსეთის ელჩი გრაფი კაპნისტი.

**სან-ლუი.** გამოფენა გაუქმდა. სულ შემოსავალი ყოფილა 200,000 გირვანქა სტერლინგამდე. გამოფენა უნახავს 19 მილიონ კაცს. გასავალი 10 მილიონ გირვანქა სტერლინგამდეა.

**მუკდენი**, 19 ნოემბერი. (საკ. კორესპოდენტი). გამარჯვება გენერალ რენენკამპფისა, რომელმაც 16 ნოემბერს უკან დააწევინა იაპონელთა ზურგის ჯარს, იმას ამტკიცებს, რომ იაპონელების ჯარი დიდ მანძილზედაა დაბანაკებული; მაშველი ჯარი ცოტაა. იაპონელები სურსათის საწყობებსა სწვავენ, რაც იმის ნიშანია, რომ ულელტეხილზედ გამაგრება შეუძლებელია. ჩვენი ცხენოსნები ისევ სდევნიან სამხრეთ ულელტეხილიდგან იაპონელებს, რომელნიც უკან იწევენ.

**მიუნხენი**, 19 ნოემბერი. (რეიტერი). პრინცი ფრიდრიხ ჰოგენცოლერნი გარდაიცვალა.

**ტოკიო.** (რეიტერი). პერთა პალატამ შეიწყნარა ადრესი, რომელშიაც გამოუთქმულია მადლობა ჯარისა და ფლოტისადმი.—უმთავრესი შტაბი იუწყება, 17 აფიცერი მოჰკლეს და 64 დაიჭრა, ადგილი კი არ არის ნაჩვენები; ეტყობა, პორტ-არტურია ნაგულისხმევი. იმ იერიშის დაწვრილებითი ამბავი არ არის, რომელიც მიიტანეს სამურაების რაზმით ნაკამურასა და საიტოს უფროსობითა. სჩანს, ეს იერიში არ მოხერხდა. ნაკამურა დაჭრილია. ფეხი მოსჭრეს. საიტო თავის რაზმით ხელჩართულ ბრძოლაში არ ყოფილა და საზოგადოდ იერიში ბოლომდე არ დაუთავებიათ.

**ლონდონი.** (რეიტერი). «სტანდარტ»-ი იძლევა ცნობებს ფლოტის ახალ განაწილების შესახებ; ამის გეგმას ამ წლის ბოლომდე გამოაცხადებენ. ფლოტს ძალიან გააძლიერებენ და ერთი ძლიერ მებრძოლი ფლოტთავანი გახდება. აზრად აქვთ ექვსი ესკადრა კრეისერებისა შეადგინონ.

20 ნოემბერი.

**ტოკიო**, 19 ნოემბერი (რეიტერი). ხმაა, რუსებმა სცადეს დაებრუნებინათ 203 მეტრის გორაკი. დიდის ძალით მიიტანეს იერიში გორაკზე, მაგრამ უკუაქციეს დიდის ზარალითა. რუსები მაგრდებიან ლიაოტეშანსა და ნანტანშანს შორის. იაპონიის ჯარის უფროსი ცანხენჩენთან იუწყება, 12 ნოემბერს იაპონიის რაზმი თავს დაესხა რუსების პოზიციას ფიშიალოძთან და უკან დაახევინა იმათ. როცა დაინახა, რომ რუსების დიდი რაზმი მოდიოდა, იაპონიის რაზმი შესდგა და დაიჭირა მაჩინჩენი და იმის მიდამოები. ბოლოს რუსის არტილერია გამოჩნდა, რომელსაც თანდათან ემატებოდა. სულ რამდენიმე ასი ბატალიონი შეიკრიბა რვა ზარბაზნითა. იაპონიის რაზმი მოერიდა შეტაკებასა, შემოიკრიბა თვისი ნაწილები და წავიდა პოზიციაზე.

## საღამოს დეპეშები

20 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება. დეისტ. სტ. სოვეტნიკს ბუტლერს უმაღლესად ებრძანა იყოს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ.

**მუკდენი**, 19 ნოემბ. (საკ. კორესპ.). თავგამოდებულ ცხენოსანთა რაზმებმა დაახევინეს იაპონელთ დაპინდუშანს და იუცაიუზეს და სროლა დაუწყეს უვენსენს. ბოლხოვის პოლკის თავგამოდებულებმა განდევნეს იაპონელნი დამანტუნიდან შახეს მარჯვენა ნაპირას. 19 ნოემბერს ციხის სანგრევ ზარბაზნებით დაქცეულ იქმნა იაპონელთ შუა-გულის თხრილები. ის იაპონელნი, რომელნიც დაგვნებდნენ, უჩივიან სიცივესა, მიუჩვეველნი ვართო და საკვების სიმცირეს.

**დაძიაპუ.** 19 ნოემბ. (საკ. კორეს). წუხელის იაპონელთა ორი წყება სცდილობდა შემოეტია ჩვენის პოზიციებისათვის სოფელ ვანტენის მახლობლად, მაგრამ ახალგაზრდა თავ-გამოდებულთა რაზმმა უკუ-აქცია მტერი და ახლოც არ მოაკარა ჩვენს პოზიციებს. საქმე ხიშტებამდეც-კი მივიდა.

**ბელგრადი**, 19 ნოემბ. სამინისტრომ სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი შეიტანა. მეფემ დაიტოვა თხოვნა, ხოლო სამსახურიდან გადადგომა სამინისტროსი არ შეიწყნარა. ამ საქმის გადაწყვეტა გადასდო 21 ნოემბრამდე, როცა კლუბი გამოსთქვამს თავის აზრს დასის მომავალ ბედზედ და შეადგენს ახალს სამინისტროს.

**სოფია.** მთავარი მიიღებს ოსმალეთის ახალს კომისარს სადიყ-ფაშას. ეს გარემოება შეამცირებს ბოლგარიასა და ოსმალეთს შორის ჩამოვარდნილს უსიამოვნებასათ. საღამოზედ მთავარი მიიღებს საპარლამენტო კომისიას, რომელიც წარუდგენს სეფე—სიტყვის პასუხს.

**მადრიდი.** იაპონიის ელჩი ერთის კვირის წინად იყო გარეშე საქმეთა მინისტრთან და მოსთხოვა განმარტება იმის შესახებ, რომ რუსეთის ესკადრამ ნახშირი და სურსათი წაიღო ვიგოდამ. მინისტრმა აუხსნა ელჩს ყოველივე და მას უკან აღარავითარი ლაპარაკი აღარა ყოფილარა ამ საგნის შესახებ.

**კარდიფი.** საფუძველია ვიფიქროთ, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო დაწვრილებით გამოიძიებს გერმანიის გემის «კაპიტან მენცელის» საქმეს. ამ გემმა წაუღო ინგლისური ქვა-ნახშირი რუსეთის ესკადრას, როცა ეს ესკადრა ამას წინად დაკართან იდგა. აქა ჰგონებენ, რომ მთავრობას აზრადა აქვს, ხელი შეუშალოს ქვა-ნახშირის ხელახლად გაგზავნას ბალტიის ესკადრისათვის.

**ხარბინი.** მომეტებული ნაწილი მანჯურიის მესამე არმიისა უკვე ჩამოვიდა. ჯარების მდგომარეობა ჩინებულია და ყველანი აღფრთოვანებულნი არიან. დილაზე ველით გენერალ გრიპენბერგის ჩამოსვლას, იგი მაშინათვე გაეშურება მუკდენისაკენ. «დეილი ტელეგრაფ»-ი ირწმუნება, რომ იაპონელთაგან მრავალნი გადმოდიან რუსების მხარეზე. ამ დღეებში ერთი უნტერ-აფიცერი და რვა სალდათი დანებდათ რუსებს სიმშილისა და თბილი ტანისამოსის არ ქონის გამო. ისინი კარგათ მიიღეს რუსებმა და ნება დაჰრთეს ციმბირში დასახლებისა.

**ვაშინგტონი**, იაპონიის ელჩმა შეატყობინა სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ლუმისას, რომ რუზველტის მიპატიჟება საკონფერენციოთ იაპონიამ გუშინ მიიღო და მალე პარლამენტს გარდაეცემა. ეს ამბავი მიაჩნიათ ვაშინგტონში იმის მომასწავებლათ, რომ იაპონია წინააღმდეგი არ არის რუზველტის სამშვიდობო განზრახვისა.

**მუკდენი.** ხმა დადის, ვითომ წუხელ დონის პოლკმა ლიდიანტუნში იაპონელებს წაართვა ბატარეია.

**ტოკიო.** აშკარაა, რომ თუმცა მომეტებული ნაწილი რუსების სამხედრო გემებისა დაზიანებულია პორტ-არტურში, მაგრამ ზოგიერთს მაინც კიდევ შესძლებია. ეს იქიდამა სჩანს, რომ რუსები ნაღმებს იღებენ ნავთ საყუდელში, რათა გაწმინდონ გზა, გამოიყვანონ გემები და გაიქცნენ როგორმე.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

---

## განცხადებანი


იბეჭდება და ნოემბერში გამოვა
ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

**„ნაკადული“**

მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი—1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა
კნ. ნინო ელიზ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. / ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

**ადრესი:** Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ»



**ВОКРУГЪ СВѢТА,**
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЪ.
Въ теченіе года подписчики получатъ:
**50** №№ художеств.-литерат. журнала. Романы.—Повѣсти.—Путешествія. Иллюстраціи.—1.200 столбц. текста.
**12** номеровъ ежемѣсячнаго МОДНАГО ЖУРНАЛА.
**12** образцовъ изящныхъ ДАМСКИХЪ РАБОТЪ.
Въ качествѣ премій подписч. Вокругъ Свѣта будетъ дано БЕЗПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ, два чрезвычайно цѣнныхъ и богатыхъ изданія.
**1** ТОМЪ 375 стр. **Мысли мудрыхъ людей:** Эпиктета, Діогена, Марка Аврелія, Сократа, Конфуція, Будды, Лао-Тсе, Аристотеля, Платона, ... Паскаля, Руссо, Спинозы, Кант... Достоевскаго, Рескина и ... каждый день собранные ... писателемъ
Л. ... СТЫМЪ.
**24** ... РИЧЕСКИХЪ ... (въ 150—200 ... листовъ)
**А. ДЮМА** (отца).
Графъ Монте-Кристо.—Виконтъ де-Бражелонъ.—Двѣ Діаны.—Королева Марго.—Графиня де-Монсоро.—Сорокъ пять.
Въ отдѣльной продажѣ романы Дюма стоятъ 15 руб.
Выданные ранѣе въ премію „Вокругъ Свѣта“ и вышедшіе затѣмъ отдѣльнымъ изданіемъ при цѣнѣ въ 3 р. романы Три мушкетера и Двадцать лѣтъ спустя высылаются годовымъ подписчикамъ нашего журнала за одинъ руб.
Кромѣ того, съ приплатою одного рубля, подписчики ВОКРУГЪ СВѢТА получатъ
**НЕБЫВАЛУЮ ПРЕМІЮ:**
БОГАТУЮ ХУДОЖЕСТВЕННУЮ ГАЛЛЕРЕЮ СТѢННЫХЪ КАРТИНЪ —
**ВОЙНА и ЕЯ ГЕРОИ,**
**12 ОЛЕОГРАФІЙ,** т. е. художественно исполненныхъ во множествѣ красокъ картинъ и портретовъ (размѣромъ каждая въ 40×52 сант.), посвященныхъ наиболѣе величественнымъ и потрясающимъ событіямъ войны Россіи съ Японіей и воспроизводящихъ съ мельчайшими подробностями выдающіеся моменты кровавой грозы на Дальнемъ Востокѣ. Картины: Наша армія и флотъ.—На сушѣ и на морѣ ... щіеся бои, стычки, охватки, штурмы и т. д. Мирная работа подъ грохотъ пушекъ.—Коварный врагъ.—Взрывы и гибель судовъ.—Доблестные подвиги русскаго оружія.—Защитники величія Россіи: Куропаткинъ, Стессель и др. военачальники и т. д., и т. д.
ЦѢНА НА ГОДЪ безъ картинъ съ пересыл. и доставкой **4 Р.** ЦѢНА НА ГОДЪ съ 12 картинами съ пересыл. и доставкой **5 Р.**
Разсрочка: при подп... 2 р., къ 1 апрѣля 2 р., къ 1 ... 1 р.
Адресъ: Москва, Петровка, д. Матвѣевой Редакція журнала ВОКРУГЪ СВѢТА.
Изданіе Т-ва И. Д. СЫТИНА.



## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул. № 9).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, ... შობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშანაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)



გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი' 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

## ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად,

აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.



## სამკერვალო

**ქალთა ტანისამოსისა.**

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

**შ ე ს ა კ ე რ ა დ**

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**



**დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად ყველგან**

## საყოველთაო სურათებიანი კალენდარი

შედგენილი **პ. თავართქილაძის-მიერ**

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

**იბეჭდება და ამ ... ამლევს გამოვა ამავე ავტორის**

## სურათებიანი კედლის კალენდარი,

შევსებული მრავალ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთშია მომზადებული). ფასი 40 კაპ. პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

**ადრესი:** ტფილისი, პ. თავართქილაძე. (6—6).



## ახალი გამოცემანი

1) **იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ბუნება ეროვნებისა**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ**, მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу**, მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად. (5—5).


Дозволено цензурою Тифлисъ, 20 ноября, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.